ვებგვერდი, 07/05/2013
სარეგისტრაციო კოდი
200090000.10.003.017266

საქართველოს მთავრობის
დადგენილება №101
2013 წლის 2 მაისი ქ. თბილისი

იმ პირთა განსაზღვრის თაობაზე, რომელთაც შესაძლებელია გადაეცეთ იდენტიფიცირებული ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის შესახებ

მუხლი 1

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, რომ სს „კრედიტინფო საქართველოს“ (ს/ნ 204470740) და შპს „საკრედიტო ისტორიათა ქართულ ბიუროს“ (ს/ნ 401963096) გადასცეს იდენტიფიცირებული ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით გადასახადის გადამხდელისათვის მისი საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

2. სს „კრედიტინფო საქართველო“ (ს/ნ 204470740) და შპს „საკრედიტო ისტორიათა ქართული ბიურო“ (ს/ნ 401963096) უფლებამოსილები არიან, რომ კომერციულ ბანკს გადასცენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის მიერ გადაცემული იდენტიფიცირებული ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით გადასახადის გადამხდელისათვის მისი საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „იმ პირთა განსაზღვრის თაობაზე, რომელთაც შესაძლებელია გადაეცეთ იდენტიფიცირებული ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 26 ივლისის №295 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი *ბიძინა ივანიშვილი*